ლადო პაპავა: „არჩევნებში ფული დამარცხდა“

გაზეთი “რეზონანსი” – 11 ოქტომბერი, № 277, 2012.

გამარჯვების ეიფორიამ თითქმის უკვე ჩაიარა და დღის წესრიგში დგება ხელისუთფლების გადაბარების პროცესი. როგორ აფასებს არჩევნების შედეგებს და არის თუ არა იმის საფრთხე, რომ საქართველოში შეიქმნას ორხელისუფლებიანობა, ამ და სხვა საკითხებზე „რეზონანსი“ პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.

„რეზონანსი“ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვება არა ერთმა ექსპერტმა შეაფასა როგორც ფაქტი, იმის შესახებ, რომ „არჩევნებში ფულმა გაიმარჯვა“, თქვენ იზიარებთ თუ არა ამ შეფასებას?

ლადო პაპავა: ამგვარი შეფასება არის პრინციპულად მცდარი, რაც ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. საქმე იმაში გახლავთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა პარლამენტმა და მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბიძინა ივანიშვილს წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში ფულის დახარჯვის შესაძლებლობა არ მისცემოდა. გავიხსენოთ, თუ რა ზარალი იქნა ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ მიყენებული „ქართუ ბანკისადმი“, ან როგორ დააყადაღეს ივანიშვილის და მისი თანამებრძოლების ქონება, როგორ დააჯარიმეს ათეულობით მილიონი ლარით „ქართული ოცნების“ ლიდერი და სხვ.

შედეგად „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული არ ჰქონდა შესაძლებლობა სერიოზული ფინანსური რესურსი გამოეყენებინა წინასაარჩევნო პერიოდში.

თბილისელებს შესანიშნავად გვახსოვს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში თბილისის ქუჩები აჭრელებული იყო ნაციონალების ბანერებით და ალაგ-ალაგ „ქრისტიან-დემოკრატების“ ბანერებითაც, მაშინ როცა „ქართული ოცნების“ არცერთი ბანერი თვალით არ გვინახავს.

ასევე შევახსენებ მკითხველს, როგორ “დააპატიმრეს” სატელიტური თეფშები, რომელმაც ასევე ზიანი მიაყენა „ქართუ ჯგუფის“ ბიზნეს სტრუქტურებს.

ივანიშვილის მიერ გადახდილი ჯარიმა არა დაზარალებულ რეგიონებს მოხმარდა, არამედ ნაციონალურმა მოძრაობამ გამოიყენა არჩევნებისათვის. ერთადერთი, სადაც ივანიშვილმა შეძლო ფულის დახარჯვა იყო საზღვარგარეთი, კერძოდ მან კანონის ფარგლებში დაიქირავა ლობისტური კომპანიები და ამაში შესაბამისი თანხა გადაიხადა.

„რ“: მაინც რატომ თვლით, რომ არჩევნებში ფულმა ვერ გაიმარჯვა?

ლ.პ: ბიძინა ივანიშვილისაგან განსხვავებით სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში დიდძალი ფული დახარჯა. თანაც მან დახარჯა ჩვენი ანუ გადასახადის გადამხდელთა მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფული. თანაც ეს ფული დახარჯა მან როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთაც. ასე, რომ თუკი საუბარია წინასაარჩევნო პერიოდში ფულის ხარჯვაზე ეს რეალურად მხოლოდ და მხოლოდ ნაცმოძრაობის პრეროგატივა იყო.

ჩვენ ყველამ კარგად დავინახეთ, რომ ნაციონალები ფულს არ იშურებდნენ ამომრჩევლის მოსყიდვისათვის, მხარდამჭერების ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასაადგილებლად, კოორდინატორების ქსელის გასაძლიერებლად. შედეგად ნაციონალებმა მაინც წააგეს არჩევნები. აქედან კეთდება მარტივი დასკვნა: არჩევნებში ფული დამარცხდა.

„რ“: რამდანად სარწმუნოდ მიგაჩნიათ არჩევნების საბოლოო შედეგები.

ლ.პ: ჩემი შეფასებით, “ნაციონალებმა” სულ ცოტა იმდენივე ხმა ჩაიყარეს ან მიიწერეს, რაც ამომრჩევლებმა რეალურად მისცა. აშკარაა, რომ “ნაციონალების” შედეგი 20%-ზე მეტი არ იყო. თუმცა მათ არ შერცხვენიათ გაორმაგებული მაჩვენებლის დაფიქსირება. მიუხედავად ამ დარღვევისა ქართველმა ხალხმა აჩვენა თავის სიძლიერე და გააკეთა სწორი არჩევანი.

გულწრფელად გეტყვით, რომ გაყალბების ძლიერი მანქანით შეიარაღებული “ნაციონალების” დამარცხებას არ ველოდი, თუმცა სიტუაცია დაიამეტრულად შეიცვალა 18 სექტემბერს, როცა ტელემაყურებლებმა თავისი თვალით იხილეს ის ძალადობა, რომელიც გაბატონებული იყო საქართველოს ციხეებში. ამან სააკაშვილის და მისი მთავრობის შესაძლებლობები არსებითად შეამცირა. სწორედ ამ ვიდეომასალის გამოქვეყნებას მოჰყვა სტუდენტების პროტესტი.

ჩემთვის, როგორც პროფესორისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოს სტუდენტობამ გაიღვიძა და ისინი გამოვიდნენ არა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად, არამედ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დამკვიდრებული ბოროტების დასამარცხებლად. სწორედ ამ ვიდეომასალამ შეცვალა ძალთა ბალანსი, ქართველი ამომრჩეველიც გამოფხიზლდა და უმეტესობამ არჩევნებში უარი უთხრა ბოროტებას, რაც იმის ტოლფასია, რომ უარი უთხრა სააკაშვილს.

„რ“: გამარჯვების ეიფორიამ თითქმის უკვე ჩაიარა და დღის წესრიგში დგება ხელისუთლების გადაბარების პროცესი, რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ იმას, რომ სააკაშვილმა და მისმა ბირთვმა განაცხადეს, რომ ისინი ხელს არ შეუშლიან საპარლამენტო უმრავლესობას ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში?

ლ.პ: მე ბუნებით ოპტიმისტი ვარ, რომელიც არ ივიწყებს რეალობას. სააკაშვილის მმართველობის ცხრაწლიანმა გამოცდილებამ ჩამომიყალიბა შეხედულება, რომლის თანახმადაც სააკაშვილის სიტყვების დიდად არ მჯერა. მას შეუძლია ტყუილების თქმა, ნათქვამის შეცვლა, ანუ მისი სიტყვა დიდად სანდო არ არის.

რეალურად „ქართული ოცნება“ გააკონტროლებს არა მარტო პარლამენტს, არამედ მთავრობას თავისი ძალოვანი სტრუქტურების ჩათვლით, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. ძალიან მომწონს პარლამენტის თავმჯდომარედ დავით უსუფაშვილის დანიშვნა. მივესალმები თეა წულუკიანის იუსტიციის მინისტრობას, ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრად წარდგენას, ასევე მაქვს იმის განცდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი და არჩილ კბილაშვილი იქნებიან ძალზედ პრინციპულები და კანონის დამცველები. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილი კონსტიტუციიდან გამომდინარე აკონტროლებს რეგიონებს რწმუნებულების, მერებისა და გამგებლების მეშვეობით, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქართველოში შეიქმნას ორხელისუფლებიანობა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილი, ანუ ბოროტების სათავე, კონსტიტუციურად ისევ ძლიერია. ცხრათავიან გველეშაპს რვა თავს რომ წააცლი, ეს რვა შეიძლება ხელახლა გაიზარდოს, თუ მეცხრესაც არ მოაჭრი. ეს ზღაპრული პასაჟი ძალზედ საყურადღებოა საქართველოში არსებულ ვითარებასთან მიმართებაში. ერთი წუთითაც არ შეიძლება მოდუნდეს ბიძინა ივანიშვილი, მისი

მთავრობა და ახალი საპარლამენტო უმრავლესობა, ისევე როგორც მთელი ქართული საზოგადოება, მანამ სანამ ბოროტების სათავე სააკაშვილის სახით ისევ ხელისუფლებაშია. ღრმად ვარ დარწმუნებული რომ „ქართული ოცნება“ სრულიად აცნობიერებს შექმნილ სიტუაციას და ყველანაირად შეუშლის ხელს სააკაშვილის და მისი გუნდის რევანშისტული ზრახვების ხორცშესხმას.

„რ“ რას იტყვით იმაზე, რომ ახალი მთავრობის წარდგენისას ივანიშვილმა არ დაასახელა ეკონომიკური ბლოკის მინისტრები?

ლ.პ: ჩემთვის, როგორც ეკონომისტისა და მეცნიერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას თუ ვინ იქნება ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი და განათლების მინისტრი. მეც და სხვა ქართველი ეკონომისტებიც გაოცებულნი დავრჩით, როდესაც ფინანსთა მინისტრის პოსტზე არ იქნა დასახელებელი „ქართული ოცნების“ მთავარი ეკონომიკური სახე ნოდარ ხადური. ჩემთვის გაუგებარია, როცა გუნდში გყავს ნოდარ ხადური და ეძებ ვიღაც სხვას, თანაც საზღვარგარეთ.

თუმცა დღეს მომავალ პრემიერ-მინისტრს ხელი არ უნდა შეეშალოს იმ გუნდის ჩამოყალიბებაში, რომელსაც ის სრულად ენდობა, რადგანაც ქართველმა ამომრჩეველმა ამ საპარლამენტო არჩევნებში ნდობა სწორედ ბიძინა ივანიშვილს გამოუცხადა.

ია აბულაშვილი